# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 169. ხუთშაბათი, 20 ნოემბერი 1903 წ. გაზეთის № 2329.

**მიიღება ხელის მოწერა 1904 წლისათვის.**

ყოველ დღიური გაზეთი

**„ცნობის ფურცელი“**

**სურათებიანის დამატებით კვირაში ორჯელ**

(წელიწადი მეცხრე)

**ფასი გაზეთისა გაგზავნით**

| კავკასიასა და რუსეთში: | საზღვარ-გარედ |
|---|---|
| 1 წლით—6 მ., 6 თვით - 4 მ., 1 თვით—50 კაპ. | 1 წლით—9 მ. 6 თვით—5 მ., 1 თვით—90 კაპ. |

თვიურ ხელის მომწერს სურათებიანი დამატება არ გაეგზავნება.

წლიური ფასის განაწილება: ხელის-მოწერისათანავე 4 მ., დანარჩენიც 1-ლ მარტამდე.

ყოველ თვიური ჟურნალი

**„მ ო ა მ ბ ე“**

(წელიწადი მეთერთმეტე)

**ფ ა ს ი ჟ უ რ ნ ა ლ ი ს ა**

| კავკასიასა და რუსეთში | საზღვარ-გარედ: |
|---|---|
| 1 წლით - 10 მ., 6 თვით—6 მ., 3 თვით—3 მან. | 1 წლით—13 მ., 6 თვით—7 მ., 3 თვით—5 მან. |

ვინც **„მოამბეს“** მთელის წლით გამოიწერს, **სურათებიანი დამატებანი** და **„ცნობის ფურცელი“** უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მანეთი, რომელიც ხელის-მოწერისათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი.

**წლიურ ფასის განაწილება:** პირველად—6 მან. ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის, და 5 მან. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3. მ., 1-ლ აგვისტომდე დანარჩენი.

როგორც „ცნობის ფურცლის“, ისე „მოამბის“ მხოლოდ წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ პრემიად ყველა ნაწერები

**ალ. ყაზბეგისა.**

1904 წელს „ცნობის ფურცლის“ დამატებაში დაიწყება ბეჭდვა სურათებისა „საქართველოს ეტნოგრაფია და კულტურა სურათებში“, დასურათება დაიწყება **გურიიდან**. სურათები იქმნება ფოტოგრაფიით გადაღებული და კარანდაშით ნახატი ბ. გოგიაშვილის მიერ. **გარდა ამისა „მოამბის“ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ**

ოთხი საყმაწვილო წიგნი სურათებით

(გამოვა სამ თვეში ერთხელ)

**ოთხივე წიგნი შეადგენს 250 გვერდს.**

წლიური ფასის გარდა ქალაქ გარედ ხელის მომწერლებმა, პრემიის გასაგზავნად, რედაქციის ფოსტის ხარჯად 55 კ. უნდა გამოუგზავნონ.

რედაქცია უმორჩილესადა სთხოვს ზემოთ აღნიშნულ გამოცემათა დაკვეთის მსურველთ, 25 **დეკემბრამდე დაიკვეთონ**, რომ კანტორამ მოასწროს ადრესების დამზადება და არ დააგვიანოს გამოცემათა გზავნა.

რედაქცია და კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე. ტელეფონი №372

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редак. Моамбе и Цнобисъ Пурцели.

* * *

ტანიდან

შენ გსურს იცოდე საიდუმლო აღთქმისა სიტყვა,
ცხოვრების აზრი და საგანი მის გამოცანის,
გსურს ცოტად მაინც გადასწიო იმის ბნელ საფარს?
იტირე მწარედ, ჩუმად, მარტო, იტირე შენთვის.
იქნება ცრემლი, ეს ნაკადი ცხოველ წყაროსი
კიდევ სწქეფდეს შენის სულის უფსკრულ სიღრმეში,
ნუღარ დაეძებ შენს საკითხსა საბედისწეროს...
იტირე მწარედ, ცრემლი ჰღვარე ჩუმად კუთხეში.
რა არის შენთვის ეს ქვეყანა?—ვრცელი დილეგი.
შიშით მოცულსა ბედი გექცა სულთა-მხუთავად...
დაჰკრავს საათი, შენი წერაც იქ გადასწყდება...
ის დაიტირე, მარტო, შენთვის, სხვის უნახავად.
რა არის შენთვის თვით სიცოცხლე?—ოცნებათ სრბოლა,
ორ უმოძრაო უფსკრულს შუა გამომწყვდეული;
ირგვლივ მორტყმული უკუნეთი ცივი, საზარი...
სტიროდე შენს ბედს, გულ ამოსკვნით, ჩუმად, ეული...
მხოლოდ ნუ ითხოვ, ნუ გწყურიან მაგრე ნათელი,
წყვდიადის ძალთა გამოცნობას ნუ ეშურები!
დაჰკრავს საათი, ეღირსები ამის პასუხსა...
მანამ იტირე, ჩუმად, მარტო ჰღვარე ცრემლები!

9 ნოემბერი, 1903 წ. განდეგილი.

## № 13

დრამა ორ სურათად

თხზ. ს. ნაიდენოვისა

**მოქმედნი პირნი:**

ფედოროვი, ბუხჰალტერი.
ეკატერინა ივანოვნა, უცნობი.
გრიგორიევი, სკრიპკის დამკვრელი.
სტეპან, სასტუმროს ლაქია.

მოქმედება სწარმოებს სასტუმროს ოთახში.

### სურათი პირველი

სასტუმრო. № 13. მომცრო ოთახი, ჭუჭყიანი. ჭერი შეღებილია ლამფის ჭვარტლით, კედლებზე აქა-იქ შპალერი აცლილია სინესტისაგან. ოთახი ორად არის გაყოფილი ფიცრულით, რომელიც ჭერს ვერა სწვდება. ოთახის მეორე, უკანა, ნაწილიც ესეთივე ფიცრულით არის გაყოფილი: ერთი საწოლია, მეორე—შემოსასვლელი. საწოლისა და შემოსასვლელის კარებებს აფარებული აქვს ჭუჭყიანი იაფ-ფასიანი ჩითი. ოთახში აწყვია: დივანი, ორი სავარძელი და სტოლი. სტოლზე ლამფაა, რომელიც მკრთალად ანათებს, სამოვარი, პური და სხვა სანოვაგე. გაშლილ ლომბერის სტოლთან, მარჯვენა მხრიდან, სდგას რკინის ფეჩი, რომლის გასახურებლადაც ხმარობენ „მოლნია“-ს ლამფას. პირდაპირ, მეორე მხარეს, კამოდი და სარკე. ოთახს ერთი ფანჯარა აქვს.

ბინდ-ბუნდია. წვიმიანი საღამო. ოთახში მოწყენილობა და სიწყნარეა. ყველაფერი ისმის—კარიდორში გამვლელის ფეხის ხმაც და კარების ბრახუნიც. მეზობელ ოთახში გრიგორიევი სკრიპკაზე უკრავს მოსწავლის სავარჯიშოს, ერთხმოვანსა და უფერულს. ბუხჰალტერი ფედოროვი მომსხო კაცია, სათვალეებით, რგვალი წვერი აქვს და დასიებული სახე სმისაგან. შუახნისაა. ოთახში დადის, ჯდება, დგება, ფანჯარასთან მიდის და თითებით შუშაზე აბრახუნებს. დარდი ღრღნის, სწუხს, მოწყენილია. ნახევარი ბოთლი არაყი კარგა ხანია გამოუცლია ჩაისთან ერთად, მაგრამ ვერც ამას მოუტანია შვება, ვერ დაუთვრია. არ იცის, რა გააკეთოს. სტოლზე დავიწყებია ნახევრად დალეული ჭიქა ჩაი. ათასჯერ წაკითხული და გადაკითხული ძველი ნომერი გაზეთისა იატაკზე ჰგდია. ფანჯრის შუშაზე ბრახუნის შემდეგ ხელ-ახლა იწყებს სიარულს. მერე მივა ნახევრად გაღებულ კარებთან, კარიდორში შენიშნავს კატას, ჩაიკეცავს და ალერსით ძახილს დაუწყებს.

**ფედოროვი.** ციფ, ციფ, ციფ... რისა გეშინიან? მოდი... მოდი, შე სულელო! (გავა კარიდორში და კატით ხელში დაბრუნდება, დაჯდება და ალერსით ხელს უსვამს). მღერი? იმღერე... ვინ იცის, იქნებ ხვალ მთვრალმა მეურმემ ურმის თვალი გადაგატაროს... გაგჭყლიტოს... სულელი ხარ, სულელი... რათა სცხოვრობ? დიაღ, ჩემო კატუნიავ... აგერ, მეორე ოთახში სკრიპკას უკრავს... იმასა ჰგონია, საქმეს ვაკეთებო... ეჰ, სისულელეა... რა დროს ფიქრია, რამდენიც უნდა იფიქრო, არაფერი გამოვა... კალბასი გინდა? დაიცა, ემ საათში გაჭმევ... (იღებს სტოლიდან კალბასის ნაჭერს და აჭმევს) [illegible], შეექეცი! მიიღე მოწყალება... კატუნიავ, ჩემო კ[illegible]იავ... (განაგრძობს ალერს. ამ დროს კარებიდან ისმის

ეროვნული ბიბლიოთეკა



შროშნები მოფრინდნენ — სურათი სავრასოვისა.

გაუბედავი, მორიდებული კაკუნი. ფედოროვს ჯერ არ ესმის. მეორედ აკაკუნებენ). შემოდით! (არავინ შემოდის. პაუზა. მესამედ აკაკუნებენ) ვინ არის? (დგება და აღებს. კარებში გამოჩნდება ეკატერინა ივანოვნა. 26—27 წლის ქალია. მსხვილი, კარგად დაწყობილი სახე აქვს, დიდრონი, მაგრამ ცივი და გაოცებით აღსავსე თვალები. თვით ქალს რაღაც მიუკარებლობისა და სისასტიკის ბეჭედი აზის. ქუჩის მოტრფიალენი ეგრე ადვილად ვერ გაჰბედავენ ქუჩაში იმასთან მისვლას. ლამაზია, მაგრამ სიამაყე და მიუკარებლობა მიმზიდველობას უკარგავს. ამაყი მათხოვარა. ზაფხულის ტანისამოსი აცვია: ჩალის შლიაპა, მსუბუქი კოფტა, შავი, თითებში დაგლეჯილი, ხელთათმანები. პირველ ხანს ფედოროვი ვერ იცნობს და მხოლოდ მაშინ, როდესაც ქალი იტყვის „გამარჯობათ“, მოიგონებს ვინ არის და სად უნახავს).

**ეკატერ.** (ხელს გაუშვერს). გამარჯობა, ვერ მიცანით?

**ფედორ.** ვერა... (იგონებს). ჰო, მართლა, ეკატერინა...

**ეკატერ.** ივანოვნა.

**ფედორ.** ივანოვნა... დიაღ, დიაღ, ტრამვაის ვაგონი... მომაგონდა... (გაოცებული უყურებს, თითქოს ჰკითხავს, რა გნებავთ. პაუზა). მობრძანდით... (კატას კარიდორში გადაისვრის).

**ეკატერ.** (მორიდებით). არ დაგიშლით?

**ფედორ.** სრულებითაც არა... მოხარულიცა ვარ... მოწყენილობაა... ეს არის ეხლა მოწყენილობისაგან კატას ვესაუბრებოდი.

**ეკატერ.** ნუ მომერიდებით, პირდაპირ მითხარით, თუ მე... სხვა დროს შემიძლიან მოვიდე...

**ფედორ.** წვიმაა, ძალიან დასველებულხართ. მოითმინეთ გადაიღოს...

**ეკატერ.** კარგი... დავიცდი ხუთ წუთს... დავიღალე... არ შემიძლიან მაღალ კიბეებზე ასვლა... (დაჯდება და სავარძლის ზურგს მიეყრდნობა, თავს გადაიღებს და თვალებს დახუჭავს. ფედოროვი მხოლოდ ეხლა შეამჩნევს, რა ღარიბულად . იია. გაოცებული უყურებს. პაუზა).

**ეკატერ.** (თვალებს გაახელს). კარგია აქ... მყუდროობაა... თბილა... მაგრამ მაინც უნდა წავიდე.

**ფედორ.** როგორც გატყობთ, ძალიან დაღლილხართ. მოითმინეთ, შეისვენეთ...

**ეკატერ.** მხოლოდ იმიტომ შემოვედი, რომ ვალი გადამეხადნა... (ეძებს ჯიბეში ფულს). ნუ თუ დამავიწყდა?.. ღმერთო ჩემო!..

**ფედორ.** რა ვალი?

**ეკატერ.** რვა კაპეიკი, ჩემ მაგიერ ტრამვაის ვაგონში რომ მიეცით, გახსოვთ?

**ფედორ.** თავი დაანებეთ, ღირს-კი მოსაგონებლად.

**ეკატერ.** არა, არა, მოგცემთ... ძალიან გულმავიწყი ვარ... სირცხვილიც-კია. . მშვიდობით...

**ფედორ.** დარჩით... ვილაპარაკოთ. მახსოვს, იმ ერთ საათში რამდენი რამ გაუზიარეთ ერთმანეთს. სხვასთან ერთ წელიწადსაც ვერ ილაპარაკებს კაცი იმდენს...

**ეკატერ.** სირცხვილიც-კია... ვინ იცის, იქნებ თქვენ გაიფიქროთ კიდეც... რატომ თქვენ არ შემოიარეთ ჩემთან აგარაკში?

**ფედორ.** ვიყავ, მაგრამ მითხრეს: არავითარი ეკატერინა ივანოვნა აქ არ არისო.

**ეკატერ.** სახლის ნომრები გადავრიე... ძალიან ვწუხდი მერე. გადავწყვიტე, თქვენი ადრესი გამეგო საადრესო სტოლში...

**ფედორ.** ეხლა სადა სცხოვრობთ?

**ეკატერ.** იქვე, აგარაკში...

**ფედორ.** აქნამდე აგარაკში?!

**ეკატერ.** მიყვარს შემოდგომა... პირველი ყინვები. სანამ თოვლი მოვა, იქ დავრჩები... მშვიდობით...

**ფედორ.** არა, არ გაგიშვებთ. რა საჭიროა ბევრი ლაპარაკი: მოსულხართ—დარჩით კიდეც... გაიხადეთ კოფტა. (უხსნის კოფტის ღილებს).

**ეკატერ.** ღმერთმანი, არ ვიცი... ჩვენ მხოლოდ მეორედა ვხვდებით ერთმანეთს... ტრამვაის ვაგონი და რვა კაპეიკი რომ არა, ნაცნობები არ ვიქნებოდით...

**ფედორ.** ეგ არაფერს არა ნიშნავს. ამ გვარ მოულოდნელ შეხვედრას ხშირად საინტერესო ნაცნობობა მოსდევს ხოლმე (ეკატერინა ივანოვნას უნდოდა კოფტა გაეხადა, მაგრამ ნომერში შემოსულ გრიგორიევს დაინახავს და შეკრთება. ეკატერინა ივანოვნ ფედოროვს მოშორდება. გრიგორიევს გარეგნობით არ ეტყობა, რ ხნის კაცია. გძელი თმა აქვს, მეტად გამხდარია. წვერ-ულვაში ძალიან თხელი და პატარა. ხელში სკრიპკა და ქამანჩა უჭირავს. მხარზე ჭუჭყიანი ხელსახოცი აქვს გადაგდებული. ამას გადაიფარებს ხოლმე როდესაც სკრიპკაზე უკრავს. ფეხის თითებზე დადის, წყნარად, ჩუმად. ეტყობა, სკრიპკისთვის გადაღეულა, იმისი მონა გამხდარა).

**გრიგორ.** (შესვლისათანავე). ფედოროვ, მე მინდა... (შენიშნავს ეკატერინა ივანოვნას). აჰ, უკაცრავად, მარტო არა ყოფილხართ...

**ფედორ.** რა საქმე გაქვთ?

**გრიგორ.** აი, ის... გუშინდლის შესახებ...

**ეკატერ.** ხომ არ გიშლით?.. ამ საათში წავალ...

**ფედორ.** არა, არა, დარჩით... გთხოვთ იცნობდეთ, მაესტრო, მომავალი გამოჩენილი მემუსიკე, დღე-ღამეში 22 საათს უკრავს, ორი საათი სძინავს და მაძღარია სკრიპკის ჰანგებით...

**გრიგორ.** გეყოფა, გეყოფა, მაგდენსაც ნუ დამცინი. მალენგაუერი 67 წლამდე ვარჯიშობდა სკრიპკაზე. თქვენ მუსიკისა არაფერი გესმით. სკრიპკა ხომ უთო არ არის: აბა, კაცმა ერთი, ორი დღე თავი მიანებოს და ჰნახავთ...

**ფედორ.** მეწალე გახდება და არა მემუსიკე...

**გრიგორ.** სწორედ... საჭიროა თითები ავარჯიშო, აი, ასე (აჩვენებს სკრიპკაზე, როგორ უნდა იმეცადინოს, რომ თითები განუვითარდეს).

**ფედორ.** თქვენ ბევრჯელ ამიხსენით ეგ... თავიც კი მომაბეზრეთ... ჰო, მართლა, საქმე?

1210

**გრიგორ.** (ეკატერინა ივანოვნაზე ანიშნებს თავით). არ ვიცი, შეიძლება თუ არა ამათთან...

**ეკატერ.** მე წავალ...

**ფედორ.** დარჩით... ორ სიტყვას გადავცემ მხოლოდ... კარიდორში წავიდეთ, მაესტრო...

(გადიან. მარტოდ დარჩენილი ეკატერინა ივანოვნა ხარბად და საჩქაროდ სჭამს ყველსა და კალბასს, თან მალ-მალ კარებისკენ იყურება. პურის ორიოდე ნაჭერს ტანისამოსისა და კოფტის ჯიბეებში ილაგებს. შემოდის ფედოროვი. შენიშნავს, ეკატერინა ივანოვნამ ჯიბეში როგორ ჩაიდო პურის ნაჭრები. ფედოროვს რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ სტუმრის საქციელით გაოცებული, გაჩუმებული და დარცხვენილია).

**ეკატერ.** მინდოდა... ისე ჩქარა დაბრუნდით... (ძალდატანებით იცინის). ერთი ნაჭერი პური მოგპარეთ... წელან, როდესაც მოვდიოდი, აქ, თქვენ სასტუმროსთან, ისეთი საცოდავი მათხოვარა იდგა... ეხლა-კი უნდა წავიდე...

**ფედორ.** სად? დარჩით...

**ეკატერ.** კარგი, დავრჩები... არა, იქნება წასვლა სჯობდეს...

**ფედორ.** რათა, რა ვქნა? ნუ მერიდებით. გაიხადეთ კოფტა, ჩაი დალიეთ. სამოვარი, მგონი, ჯერ არ ჩამქრალა...

**ეკატერ.** შეიძლება?

**ფედორ.** რასაკვირველია, შეიძლება... რა უცნაური რამა ხართ...

**ეკატერ.** არა, არაფერი... გმადლობთ... (იხდის კოფტას, ჩაის ისხავს, საჩქაროდ სვამს და კიდევ ისხავს).

**ეკატერ.** თქვენა? დაგისხათ?

**ფედორ.** არა, არ მინდა...

**ეკატერ.** ეს პურია?.. ავიღებ...

**ფედორ.** ინებეთ, გთხოვთ... (გაკვირვებული უყურებს, ეკატერინა ივანოვნა შეამჩნევს გაკვირვებას და შერცხვება).

**ეკატერ.** რას მიყურებთ ეგრე? ძალიან მინდა ჩაი... და... მშიან კიდეც... ემ საათში ბუტერბროდს გავიკეთებ. შეიძლება?

**ფედორ** რასაკვირველია, შეიძლება...

**ეკატერ.** ძვირი არ არის... კარგია აქა... მყუდროთა ჰგრძნობს კაცი თავს... მომწონს ასე... (ეტყობა მშიერია: საჩქაროდ სჭამს ბუტერბროდებს და ლაპარაკობს მხოლოდ იმიტომ, რომ გააქარწყლოს ფედოროვის ყურადღება). თქვენი ოთახი ერთ ოთახს მაგონებს ბიძიჩემის სახლში, სოფლად. მიყვარდა ის ოთახი. მე და დედა ყოველთვის, როდესაც ძიას ვეწვეოდით, იმ ოთახში ჩამოვხტებოდით ხოლმე. ხშირად, როდესაც დედას დაეძინებოდა, გავაღებდი ფანჯარას და ვიჯექ ერთ, ორ, სამ საათს, ზოგჯერ გათენებამდისაც... რა კარგი დრო იყო, უდარდელად ვცხოვრობდი, მხიარულად...

**ფედორ.** ეხლა? ცუდადა სცხოვრობთ?

**ეკატერ.** არა... ისე... დედასთან ვცხოვრობ... ვმსახურებ... (სცდილობს სხვა რამეზე ჩამოაგდოს ლაპარაკი). ერთი ბიძაშვილი მყავდა, საოცრადა გგავდათ თქვენ... ეხლა მკვდარია... განსაკუთრებით იმისი თვალები ჰგვანდა თქვენსას. სასტიკი, ცივი თვალები ჰქონდა, მაგრამ როცა დააკვირდებოდით, შეამჩნევდით, რომ კეთილი და ალერსიანი თვალები იყო... თქვენ კარგი თვალები გაქვთ... შეიძლება ბუტერბროდი კიდევ გავიკეთო?

**ფედორ.** რასაკვირველია, შეიძლება; რაღასა მკითხავთ?

**ეკატერ.** ყველით გავიკეთებ... (სჭამს და ლაპარაკს განაგრძობს). ნუ მიყურებთ, არ მიყვარს, როდესაც პურსა ვჭამ და მიყურებენ... მემკვიდრეობით დამჩემდა: მამაჩემსაც არ უყვარდა... უცნაური კაცი იყო—უყვარდა ახირება ლაპარაკში, აზრის შებრუნება... რა კარგი ყველია... (განაგრძობს ჭამას). რაზე გელაპარაკებოდით? ძმაზე? დიაღ, დიაღ... ისეთი თვალები ჰქონდა, როგორიც თქვენა გაქვთ. დედა „ბუზანკალას“ ეძახდა... ისეთი შავი იყო, როგორც ბოშა...

**ფედორ.** (მივა სტოლთან და გაკვირვებული უყურებს, თითქოს უნდა ჰკითხოს—ვინა ხარო). მე, მგონი, არა ვგევარ ბოშას?

**ეკატერ.** თქვენა? არა...

**ფედორ.** თქვენ კი სთქვით, რომ ჩემ ძმასა ჰგევხართ.

**ეკატერ.** განა ვსთქვი ეგა? (იცინის) ვერ წარმოიდგენთ, რა გულმავიწყი ვარ. მე ორი ძმა მყავს... (გადადის დივანზე.



გაგრა.—საყმაწვილო თავშესაფარის გახსნა.

**ეკატერ.** ხომ ჰხედავთ, რა დაურიდებელი სტუმარი ვარ. (აკეთებს ორ ბუტერბროდს). ეს ნომერი ძვირია? რას აძლევთ?

**ფედორ.** ოც მანეთს.

... თითქოს

*) იხ დამატება № 198.

გამთბარი და გამაძღარი მეტად ბედნიერადა ჰგრძნობს თავს. ტანში სიამოვნების ჟრუანტელი უვლის, თვალები ეხუჭება).

... რეებს თავის ქნევით გამარჯვების იმედი მისცა და ფეხი შეიცვალა.

მე მინდა ასე ვიჯდე და ყური დავიგდოთ დიდ ხანს, ძალიან დიდ ხანს...

**ფედორ.** რა უნდა გიამბოთ, რაც არა არის რა... ვცხოვრობ, დედა მიწასა ვთელავ ტყუილა-უბრალოდ... დილით სამსახურში, საღამოთი სამსახურიდან. ხან და ხან გადავკრავ ხოლმე ერთ, ორ, სამ ჭიქას და ასე გავმხიარულდები. ზოგჯერ ისეთი სევდა მომაწვება, რომ აღარ ვიცი, სად წავიდე...

**ეკატერ.** დაბრძანდით დივანზე და ისე ილაპარაკეთ.

**ფედორ.** საინტერესო ცოტა რამეა... ჩემი ცხოვრება როგორღაც სულელურად მოეწყო... ოცდა თორმეტი წლისა შევსრულდი, ახალს ვეღარაფერს მოვკიდებ ხელს—გვიანაა, არც სურვილი მაქვს. უნდა ვიჯდე ასე და მარტოდ-მარტომ დავლიო ჩემი დღენი... შვიდი წელიწადია ამ ნომერში ვცხოვრობ... საზიზღარი ნომერია, მეცამეტე, და მაინც ვერ გადავსულვარ... ესეც-კი მეძნელება... სამსახურში სულ ცოტას მაძლევენ, რაღაც გროშებს, მაგრამ მაინც ვმსახურობ და სხვა საქმეს არ ვეძებ... დავეცი, დავზარმაცდი...

**ეკატერ.** (სრულებით ყურს არ უგდებს. გართულია თავის აზრებსა და მოგონებებში). თქვენი ხმა მამი ჩემის ხმას მაგონებს... ჩვენსა სტუმრები იკრიბებოდნენ, ბევრნი მოდიოდნენ ხოლმე. მე პაწაწა ვიყავი... მამი ჩემის ხმა გარკვევით ირჩეოდა. მიყვარდა იმისი ლაპარაკი.... თითქოს ძალად გაგდებინებდა ყურს...

(ფედოროვი ადგება დივნიდან და ფანჯარასთან მივა. ნაწყენია: უნდოდა თავის თავზე ელაპარაკნა, ის კი ყურს არ უგდებდა. თან და თან დედდება. ეკატერინა ივანოვნა-კი განაგრძობს ლაპარაკს და ამით უფრო აჯავრებს ფედოროვს).

**ეკატერ.** მახსოვს, ერთხელ... არა, სჯობს არ გავიხსენო! სამწუხაროა... ჩვენსა საღამოები იმართებოდა. მე მონაწილეობას ვიღებდი სცენის-მოყვარეთა წარმოდგენებში. ჩემი ძმა, „ბუზანკალაც", მონაწილეობას იღებდა. იმასა ჰყავდა ამხანაგი, დომინი... კარგად მახსოვს... აი, ეხლა თითქო თვალწინ მიდგასო. დომინი მოხელედ იყო გუბერნატორთან, სწერდა ლექსებს, არც ისე ურიგოს. მაგრამ როცა კითხულობდა, სასაცილო იყო...

**ფედორ.** მე არავითარი დომინები არ ვიცი. ჩემთვის საინტერესო არ არის...

**ეკატერ.** ჰო, ჰო, რასაკვირველია, თქვენ არ გაინტერესებთ... მაპატიეთ... ოცნებას მივეც თავი. თქვენ რაღაც უნდა გეამბნათ ჩემთვის?

**ფედორ.** არაფერიც არ უნდა მეამბნა!.. (პაუზა. ეკატერინა ივანოვნა უყურებს ფედოროვს და ჰხედავს, რომ უკმაყოფილოა. არ იცის, რა ჰქნას. უნდა და არც უნდა წასვლა: არ ეთმობა სითბო და სინათლე).

**ეკატერ.** აქ მოდით... დაჯექით დივანზე. მე ცოტა, ცოტა ხანს კიდევ დავრჩები აქა.

(ფედოროვი ჯდება. ეკატ. ივ. ხელ-ახლა თვალებს ჰხუჭავს და დივნის ზურგს ეყრდნობა. პაუზა. ეკატერ. ივან. თვალ ხუჭელა იმის ხელს აიღებს და მაგრა მოუჭერს).

**ეკატერ.** თქვენ ხომ კარგი კაცი ხართ? ჰოო?

(ფედოროვი ხელს გამოსტაცებს. ხელად თავში გაუელვებს ის აზრი, რომ ეკატერინა ივანოვნა საძაგელის განზრახვით არის მოსული. წამოხტება).

**ფედორ.** სიცრუე მეზიზღება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ქალი სცრუობს!..

**ეკატერ.** რა დაგემართად?

**ფედორ.** პირდაპირ თქმა სჯობს... უფრო პატიოსნურია. ეხლა ვიცი, რისთვისაც მოსულხართ... მე-კი ასეთის ნდობით მიგიღეთ. აი, ხუთი მანეთი! (იღებს ქისიდან ფულს და აძლევს) იმდენად სულელიც არა ვარ...

**ეკატერ.** რაო?.. თქვენ... (სტოლზე დააგდებს ხუთმანეთიანს, რომელიც გადავარდება და იატაკზე გაგორდება). თქვენ... (საზარლად, კანკალით, თითქოს აცხელებსო, კოფტას იცვამს, შლიაპას ხელში იღებს და კარიდორში გარბის).

**ფედორ.** (ყვირის, კარებს მივარდება). ეკატერინა ივანოვნა!.. (პაუზა) წავიდა... ეხლა არასოდეს აღარ მოვა...

ი. ა—მე.

ფარდა

(დასასრული იქნება)



— საძაგელი დროა!
— სწორედ რომ საძაგელი დროა.
— წარმოიდგინე, გუშინ 600 მან. დავკარგე.
— როგორ, სადა გქონდა ფული, რომ დაგეკარგა?
— უნდა მესესხნა სხვისაგან, იმედიცა მქონდა და, წარმოიდგინე, რა ცუდი დროა, როდიღა მენდო!..



— რა ვქნა, ეს რანაირად მოხდა, რომ ფეხები კისერთან გამომება.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

...როვი მხოლოდ ეხლა შეამჩნევს, რა ღარიბულად ...ია. გაო-
...ცებული უყურებს. პაუზა).

ფედორ. თქვენ ბევრჯელ ამიხსენით ეგ... თავიც კი მომაბეზრეთ... ჰო, მართლა, საქმე?